1. სამხედრო-საზღვაო ძალების რეზერვის ლეიტენანტ-მეთაურის ფეტონი; 2. 1942 წლის დეკემბერში გაცემული ფეტონი; 3. სანაპირო დაცვის ლეიტენანტის ფეტონი; 4. საზღვაო ქვეითი რეზერვის კაპიტანის ფეტონი; 5. სამხედრო-საზღვაო ძალების რეზერვის ოფიცრის ფეტონი

ერხულობას ქნინდა მათი ჟღარუნი, რაც მუიმარს მოწინააღმდეგესთან წყუად მი-ახლოების საშუალებას უსაზობდა. ხმუ-რის თაიდან ასცილებლად მუიმორები მათ ერთმანეთზე ლეუკოპლასტერი ან თხოლენტი ამაგრებდნენ, აგრეთვე აც-მუენერ აირწინაის შლანგისაგან გამოჭ-რულ ეისრო რუხინის რუოლებს და სხვა. იყუნენ ფრანტებიც, განსაკუთრებით ოფიცერთა შორის, რომლებიც ფეტონებ-ისათვის სპეციალურ ტყუის შალითებს,

ძეარფასი ლითონის ძქქეებს და ქვედან-ალოფის შუხაბამისი ფერის თასმებს ატარებდნენ (ციხსფერი ქვეითთათვის, წითელი არტილერიისთვის და ა.შ.). ცუ-ღლებები შუხით როგორც სამხედრო საზღვაო ფლოტს, ასევე საზღვაო ქვეითსაც, 1940 წლამდე ისინი 1917 წლის ნიმუშის ფეტონებს იყენებდნენ. ფლოტის 1940 წლის ნიმუშის ფეტონი უუანგაიე ფოლადისაგან დამზადებულ ოვალურ ფორფტას წარბოადენდა, რომლის წინა

გახლდით ის, რომ პირველზე აღნიშნუ-ლი იყო „USN“, ხოლო მეორეზე „USMC“. ომის შემდგომი პერიოდისათვის, შუიარ-ალებული ძალები უნიფიკაციის გზას დაადგა. ვეულა სახეობის საჯარისო ფორმირებისათვის შუიოღებულ იქნა ერთიანი ფეტონი - სტანდარტული არმი-ული. მოგვიანებით ორმოცდაათიანი წლების ფეტონებიდან გაქნა ტქმეიური ღრძული და მათ საბოლოოდ დღეებდუ-ლი სახე მიიღეს. 1964 წლიდან ოფიცრებ-ისათვის დაიწვეს სარეგისტრაციო ნომ-რის ახალი სერის მინიჭება. ამ სერისი პირველი ნომერი „0-99000“ მიეჩნება ლე-იტენანტ ვერკ ე.სმარტ-ს. ქვესციფორიანი ნომრები ენიჭებოდათ ნაციონალური გვარდიის ოფიცრებს. გარდა ამისა ისინი „OF“-ით აღინიშნებოდნენ.

ჯარისკაცთა სარეგისტრაციო ნომრე-ბის სისტემას მუიერ მსოფლიო ომის ღრიოდან ცელილება არ განუკლია. ნო-მერი ჯარისკაცზე შუიცავდა შემდეგ ინ-ფორმაციას: პირველი ციფრი იძლეუდა სა-შუალებას გაერკვიათ ეკუთვნოდა თუ არა იგი ნაციონალურ გვარდას და იყო თუ არა წყუადმული. მუიერ ციფრი მუითობ-და, თუ ქვეყნის რომელი რეგიონიდან იყო გარწეული. ხოლო მილიანად ნომერი მუ-ითიებდა სამსახურის დაწეების სუარაუ-ღო ღრის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში მიხილ სურცილავა



ყველ თაობის სახვეარელი გახაითი 1934 წლიდან

კავკასიური მოვლენები



დოქტრინის გარეშეც აზერბაიჯანის არმიის რეგიონში საუკეთესოდაა აღჭურვილი

აზერბაიჯანი

● „სპეციალურმა ჯგუფმა სამხედრო დოქტრინის შექმნაზე დაიწყო მუშაობა“, — განაცხადა პარლამენტის უმისპრობისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის შირადიგული ალიანის მორჩაზადემ. მისი თქმით, დოქტრინის მომზადებასა და მიღების პროცესს პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აკონტროლებს. დოქტრინის პროექტი პარლამენტს განსახილველად საშუალოდგომო სესიასზე გადაეცემა.

რომლის აუცილებლობა თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებმა წარმოშვა და მიზნად საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებასა და შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებათა დაცვას ისახავს. საბჭო საექსპორტო, განალიზების, შედეგების, კულტურის სფეროთა, ეკოლოგიის, სპორტის, ეკლესიის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თაით-თითო და სომხეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ორი წარმომადგენლით დაკომპლექტდება.

სოხეთი

● უახლოეს მომავალში თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანინთან საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა იგეგმება,

ჩრდილო კავკასია

● ჩრდილო კავკასიაში და განსაკუთრებით ინგუშეთში ტერაქტები გაზიზრდა. 7 ფელის თაჟში დაჭრეს ში-

ინგუშეთის პრეზიდენტი იუნუს-ბეკა ევკუროვის ავტომობილი აფეთქების შემდეგ



ნაგზო საექმთა სამინისტროს საექმთარტო-კრინანლისტური ცენტრის უფროსი პოლკოვნიკი მაგომედ გადბორბევი. 4 ფელის დღის 9 სათისა და 30 წუთის მახლობლად ჩახაფრებაში მოქევა ჩქნეთის შინაგან საექმთა სამინისტროს ავტომობილების კოლონა, რომელსაც ცეცხლი ფუძარსატკოროცნებით და ცეცხლსასრული იარაღით გაუხსნეს. დაიღუპა სამინისტროს 9 თანამშრომელი და 10 დაჭრა. 22 ფნის ინგუშეთის პრეზიდენტი იუნუს-ბეკა ევკუროვის კორტევის მწველიობისა დაახლოებით 70-კილოგრამიანი ტროტინის მოწვობილობა აფეთქა და პრეზიდენტის კუსტარულად დაჯგუშული „მერსედესი“ მთლიანად განადგურდა. დაიღუპა მძღოლი, ხილო უმძიმეს მდგომარეობაში მეოფი ინგუშეთის პრეზიდენტის გადარჩენა მოსოფში მოხერხდა. 2004 წელს არილიში ბუჯიკებმა ევკუროვის წინამორბედი — პრეზიდენტი მურატ ზინაოვიც აფეთქეს, რომელიც მაშინ შიუბუქედ დაიჭრა.

● 7 ფელის ციმბირის სამხედრო ოლქის ქალაქ ალჯისკში დისლოცირებულ მოტომსოროლედ ბრიგადაში პარდაბარ პლაცზე 44 დაღუბნულ ახალწვეულს დაახლოებით ორასმა რუსმა სამხედრომ სექმა. როგორც დაღესტნელებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, მათ სისტემატურად აფირობენ, უწოდებენ შაიმუნებს, მადლებსა და „ჩურკებს“. პროტესტის ნიშნად დაღესტნელმა ახალწვეულებმა შიმშილი გამოაცხადეს და სხვა ნაწილებში გადასელა მოითხოვეს.

● ჩქნეთში გაუქმებული ანტიტერორისტული რეჟიმის პირობებში 8 ფელის შატის რაიონში 2 რუსულ სამხედრო შეუღლმფრნეს ტუის მასოვიან ცეცხლი გაუხსნეს. ორგე შეუღლმფრნი დაზინანდა, მაგრამ პილოტებმა დაჯღომა მაინც მოახერხეს. დაიჭრა ერთი სამხედრო მოსამსახურე.

● 10 ფელის ვლიადკეკაზში რუსეთის შინაგან საექმთა მინისტროს მოადგილე არკადი ედელევის განცხადებით, დაიწყო იმ ინფორმაციის გადამოწმება, რომლის თანახმადაც ჩრდილო კავკასიაში გადასვლის მიზნით თანამგობრობის ერთ-ერთი ქვეყნიდან

გიგოსილვა...



სწავლება „კავკაზ 2009“-ის ერთ-ერთი ეპიზოდი

საქართველოში 60 ბოიეცი შეიფიდა. მანვე აღნიშნა, რომ ბოიეცებს საზღვარგარეთიდან მიღებულ დაფინანსება გაეზარდათ და მაგალითად მოიყვანა დოკა უმაროვი, რომელსაც თურქეთიდან 40-50 მილიონი დოლარი გამოუგზავნეს.

● ვლადიკავკაზში შეჯამდა სწავლება „კავკაზ-2009“-ს დროს ოლქის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში დილოციერბული ჯარების საბრძოლო და მობილიზაციო მზადყოფნის შედეგები. ამასთან დაკავშირებით მოხსენება ვლადიკავკაზის სამხედრო კომისარმა პოლკოვნიკმა მიხაილ შერსტიობიტოვმა გააკეთა. მისი თქმით, ჩატარდა ომის დროს სამხედრო ნაწილებზე მიწოდების მოქალაქეთა გაფრთხილების, გამოძახებისა და შეკრების პროცესი, რისთვისაც გაიმართა შეკრების სამი პუნქტი და მზადყოფნაში იყო სატრანსპორტო ავტოკოლონა. გაფრთხილება 280 კაცმა მიიღო, უმრავლესობა კომისარიატებში მითითებულ დროს გამოცხადდა.



ბენერალი ჩაბანი

სამუშალებები მუდმივი დისლოკაციის ადგილებში არიან. უპილოტო საფრენი აპარატები რუსეთის სახმელეთო ჯარების განკარგულებაშიც არის, მაგრამ ამის შესახებ სახმელეთო ჯარების სარდლობა არაფერს ამბობს.

● საქართველოში პერსონა ნონ გრატად გამოცხადებულმა გენერალ-მაიორმა სერგეი ჩაბანმა სამხედრო კარიერა დასრულა და 54 წლის ცხვირალი უფრონევის ოლქში მიაჯარა ფედერალურ ტრასიერად დაინიშნა. ჩაბანი 2005 წლის 20 აპრილიდან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების სარდალი იყო და 2008 წლის აგვისტოს აგრესიაშიც მონაწილეობდა.

ცხინვალის რეგიონი

● 13 ივლისს რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი რუსული არმიის დამკვეთობილ ცხინვალის რეგიონში წინასწარ, ანონსირების გარეშე ჩავიდა. მას თან ახლდა თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერადიუკოვი. მედვედევმა დაათვალიერა რუსული საოკუპაციო არმიის მე-4 სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა და შეხვდა სეპარატისტთა ლიდერ კოიოის. გაიმართა საუბარი, რომელიც სამხედრო სფეროში თანამშრომლობასაც შეეხო. სასაცილოა თავდაცვაზე თანამშრომლობა, როცა ე.წ. სამხრეთ ოსეთის არმიას მილიანად რუსეთი ინახავს, დაკომპლექტებულია რუსეთის არმიის ოფიცრებითა და რაოდენობრივად რუსეთის არმიის ერთი მოტომსროლელი ბრიგადის ტელეფონიც არ იქნება. ბევრად უფრო ხერხიერი საუბარი საოკუპაციო ჯარების მე-4 სამხედრო ბაზის სარდლობასთან იქნებოდა, სადაც „დედოფშინას“ მისეხითი საქართველოში თავშესაფარი უკვე ორმა რუსმა ჯარისკაცმა ითხოვა.

თმშპრ ჩარანიძე

კონფლიქტური კვირბი

აფხაზეთი

● 9 ივლისს რუსეთის სამხედრო-საპაერო ძალების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ ზელინმა უარყო ქართული მხარის ბრალდება, რომ საქართველოს ტერიტორიის თავზე რუსული უპილოტო საფრენი აპარატები დაფრინავენ. ზელინის განცხადებით, სამხედრო-საპაერო ძალების უპილოტო საფრენი აპარატები ბოლო ფრენის საქართველოს თავზე ადარ ფრენის, ხოლო სამხედრო-საპაერო ძალები და



პრეზიდენტი მედვედევი ცხინვალში ჩავიდა

კორეელთა კიდევ ერთი ახალი სოფელი

2007 წლის 12 ივლისს კორეის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს ამფიბიური სადესანტო ხომალდი LPH 6111 Dokdo გადაეცა, რომლის მშენებლობა ქალაქ ხანძინის Heavy Industry-ის ევრეზე 2005 წლის 12 ივლისს დაიწყო.

ხომალდმა კორეის სამხედრო-საზღვაო ძალების პოტენციალი, როგორც შეტევაში, ასევე თავდაცვით სადესანტო ოპერაციებში ძალზე გაზარდა. სეული ამ კლასის ხომალდების მშენებლობის გეგმელებს აპირებს, მოსალოდნელია, რომ 2020 წლისათვის მათი რაოდენობა 4 ერთეულს მიაღწევს.

Dokdo-ს სრული წყალქვეშა 18800 ტონა, სიგრძე 199 მეტრი და მაქსიმალური სიჩქარე 23 კნობია, ეკიპაჟი 300 კაცისაგან შედგება.

ხომალდი გათვლილია 720 საზღვაო ქვეითის, 10 შევუღმფრენის (სატრანსპორტი UH-60 და საექიზო მხარდაჭერის AH-1), 10 ტანკის, 10 ავტომობილისა და საპაერო ბალიშზე მოცურავე 2 LCAC კატარის მატებაზე.

თავდასაცვად აღჭურვილია უახლესი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს RIM-116 RAM-ითა და ახლო მანძილზე მოქმედი Goal-keeper CIWS სისტემით.



ეროვნული
ბიზნის-ცენტრი

სერბი ავიაკონსტრუქტორების თვითფრინავი

4 აპრილს ბელგრადის მახლობლად ბატაინიკას სამხედრო აეროდრომზე სერბეთში წარმოებული სასწრაფო-საბრძოლო თვითფრინავ lasta-95-ის სადემონსტრაციო ფრენა შედგა.

ეს არის ორადგილიანი (პილოტი-ინსტრუქტორი) მონოპლანი, რომელსაც აფრენა-დაჯდომა ბეტონისა და გრუნტის აეროდრომებზე შეუძლია.

თვითფრინავის წვრილსერიული წარმოება ქალაქ კანჩევოს ავიაქარხანა Utva-ში იგეგმება. სერბეთის სამხედრო-საკავრო ძალებისათვის უკვე 15 lasta-95 არის შეკვეთილი, ხოლო ურავი 20 თვითფრინავის შექმნას აპირებს.

თვითფრინავის სიჩქარე საათში 360 კილომეტრია, ფრენის ჭერი 5200 მეტრი. სასწრაფო ვარიანტში ფრენის სიშორე 1060 კილომეტრს, ხოლო საბრძოლოში 400 კილომეტრს აღწევს.

საბრძოლო დანიშნულებით გამოყენებისას lasta-95-ს ფრინავებზე ტყვიამფრქვევების 2 ან „პაერი-ზედაპირის“ კლასის უმართავი რაკეტების 2 კონტეინერი, ან ორი 100-კილოგრამიანი საავიაციო ბომბი უყენდება.



ეროვნული
ბიზნისთემა

ბირთვული პაჭრობა

ათობინიანი
საკონტინენტთაშორისო
ბალისტიკური რაკეტა P-36
ერთხანს აშშ-ისთვის დიდ
საფრთხეს წარმოადგენდა,
დღეს კი რუსეთის
მხოლოდ 68 ისეთი
რაკეტი აქვს



შორე მსოფლიო ომის დასრულებ-
ის შემდეგ ერთ დროს მოკავშირეები —
საბჭოთა კავშირი და აშშ ბარიკადების
სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. განსხ-
ვავებული რეჟიმისა და იდეოლოგიის
გამო არ ორი ქვეყნის ურთიერთობა გას-
ცდა დიპლომატიურ ფარგლებს და
სისტემების გლობალურ დაპირისპირე-
ბაში გადაიზარდა, რასაც დროდადრო
მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში
სამხედრო კონფლიქტების განაღება
მოჰყვა. კუროდ, კოჩისა და ვიეტნამის
ომები, ისრაელ-არაბეთის ომები და ა.შ.

აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის და-
პირისპირებაში, რაც ისტორიაში „ცივი
ომის“ სახელით შევიდა, განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება შეიარაღების სფერო-
ში პაექრობას ეთმობოდა, რომელშიც
დაბანდებული თანხების ოდენობა ათო-
ბით მილიარდს აჭარბებდა. 50-იანი
წლებითთვის ორივე ქვეყნის სამხედრო

არსენალებში ბირთვული ქობინების
რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ
თავისუფლად შეიძლებოდა დედამიწის
განადგურება.

უკვე 60-იანი წლების დასაწყისში
მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე
აღმოჩნდა, როდესაც თურქეთში, ქალაქ
იზმირთან აშშ-მ 2400 კმ მოქმედების
რადიუსის PGM-19 Jupiter-ის ტიპის სა-
შუალო სიშორის 15 ბალისტიკური რა-
კეტა განათავსა. ეს ბირთვულქობინანი
რაკეტები საქართველოზეც იყო დამ-
ოზნებული. საბასუსხოდ საბჭოთა კავ-
შირმა რაკეტები კუბაში განაღება. ეს
მოუღენია ისტორიაში კარიბის კრიზისის
სახელით შევიდა. საბედნიეროდ, მანში
კენედისა და ხრუშჩოვის შორის მოლა-
პარაკეტების წარმატებით დასრულების
წყალობით კაცობრიობამ შეძლო ბირთ-
ვული ომის თავიდან აცილება. გარდა
ამისა, ბირთვული პოტენციალის ზრდა
ორივე ქვეყნის ეკონომიკაზე ძალზე

უარყოფითად მოქმედებდა ეკონომი-
კური ქვეყნის მიუხედავად სწორედ რომ
საჭიროა ბირთვული არსენალის
რაოდენობის ურთიერთგულისობა.

ინტენსიური მოლაპარაკება აშშ-სა და
საბჭოთა კავშირს შორის სტრატეგიული
შეიარაღების შეზღუდვის OCB-I (SALT-I)
თაობაზე 1969 წლის 17 ნოემბერს დაიწ-
ყო. მოლაპარაკების თანხმად, რომლის
ფარგლებშიც პელსინკისა და ვენაში რამ-
დენიმე შეხვედრა გაიმართა, ორივე ქვეყ-
ნა ვალდებული იყო შეიარაღებაში არ-
სებული ბალისტიკური რაკეტებისა და
გამშვები დანადგარების რაოდენობა მო-
ლაპარაკების მომენტისთვის არსებულ
რაოდენობაზე შეეზღუდებინა. ამასთან, დამ-
ველები იქნა შეიარაღებაში ახალი სახის
სახმელეთო და საზღვაო (წყალქვეშა
ნაგებზე) ბაზირების ბირთვულქობინანი
ბალისტიკური რაკეტების მიღება, ოღონდ
მათი რაოდენობა შეიარაღებიდან მოხს-
ნილი ძველი რაკეტების რაოდენობას არ
უნდა გასცილებოდა.

1968 წლიდან საბჭოთა კავშირი
ყოველწლიურად შეიარაღებაში 200-
მდე ახალ ბალისტიკურ რაკეტას იღებ-
და, აშშ-ის შეიარაღებაში არსებული
რაკეტების რაოდენობა კი ამ პერიოდის-
თვის ძლიერ არ იცვლებოდა (საკონტი-
ნენტთაშორისო ბალისტიკური — 1054,
წყალქვეშა ნაგებზე ბაზირებადი ბალის-
ტიკური რაკეტები — 656). სამაგიეროდ,
აშშ თავის რაკეტებზე განცხადებულ
ბირთვულ ქობინებს აყენებდა, რაც
უფრო საშიში იყო.

მოლაპარაკების ერთ-ერთ პუნქტში
რაკეტ საწინააღმდეგო თავდაცვის
სისტემის საშუალებების შეზღუდვაც
ფიგურირებდა. 1971 წლის მაისში, მო-
ლაპარაკების ჩიხში შეკვლის შემდეგ,
რაკეტ საწინააღმდეგო თავდაცვის
სისტემის თაობაზე პირველი ხელშეკ-
რულება დაიდო, ოფიციალურად კი მო-
ლაპარაკება 1972 წლის 26 მაისს მოსკ-
ოში სტრატეგიული შემტევი შეიარ-
აღების ფარგლობითი შეზღუდვისა და
რაკეტ საწინააღმდეგო თავდაცვის
სისტემის შესახებ რიჩარდ ნიქსონისა და
ლენინდ ბრეჟნევის ხელმოწერილი ხე-
ლშეკრულებით დასრულდა. მხარეებს
რაკეტ საწინააღმდეგო თავდაცვის მხო-
ლოდ ორი-ორი სისტემა (დელტა-კლასის
ან საკონტინენტთაშორისო ბალის-
ტიკური რაკეტების გამშვები მარტების
თემიურის გარშემო) უნდა ჰქონოდა,

სადაც 150 კმ რადიუსში 100 ანტირაკეტული მტეი არ უნდა ყოფილიყო.

1974 წელს გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების თანახმად, ნებადართულ იქნა მხოლოდ ერთი ობიექტის გარშემო განთავსებული სისტემები. საბჭოთა კავშირმა მოსკოვი აირჩია, აშშ-მა კი სამხრეთ დაკოტაში განთავსებული ბაზა გრანდ-ფორქსი, სადაც 200 სტრატეგიული დანიშნულების ბალისტიკური რაკეტა „მინიტმენი“ იყო განთავსებული. ამასთან, დამატებითი ხელშეკრულებით აკრძალულ იქნა რაკეტაწინააღმდეგო სისტემების საზღვაო, საჰაერო, კოსმოსური ან მობილური სახმელეთო კომპონენტებისა და ასევე მილიანი ქვეწიის რაკეტაწინააღმდეგო სისტემების შექმნა, ან მისი კომპონენტების სხვა ქვეყნებში განლაგება.

პარალელურად მიმდინარეობდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ფარგლებში მოლაპარაკების მეორე რაუნდი — OCB-II (SALT-II). შეთანხმების თანახმად, მხარეები ვალდებული იყვნენ შეიარაღებაში არსებული სახმელეთო და საზღვაო ბაზრების საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გამძლეობა დაზღვევისა და სტრატეგიული ბომბდამშენების შეიარაღებაში არსებული ბირთვული ბომბების რაოდენობა 2400 ცალს არ გადასჭარბებოდა.

1981 წლის 1-ლი იანვრიდან მხარეების შეიარაღებაში არსებული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და სტრატეგიული ბომბდამშენების რაოდენობა 2250 ცალზე მტეი არ უნდა ყოფილიყო.

ჯიმი კარტერი და ლეონიდ ბრეჟნევი 1979 წლის 18 ივნისს ვენაში ხელშეკრულება OCB-II (SALT-II)-ის ხელმოწერისას



1979 წლის 18 ივნისს ვენაში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა და ბრეჟნევა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, მაგრამ აშშ-ის სენატს მისი რატიფიცირება არ მოუხდენია, — ხელმოწერიდან 6 თვეში საბჭოთა კავშირმა ავღანიეთში შექმნილი სამხედრო კონტინგენტი შეიყვანა, რამაც აშშ-ის გაღიზიანება და პროტესტი გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ორ ქვეყნის შორის დადებული ხელშეკრულების გაუქმება ვერაფერ გაბედა და მისი პირობების შესრულებას ორივე მხარე შეუდგა.

ბირთვული შეიარაღების გარდა, 70-იანი წლების დასაწყისისთვის აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებაში ახალი სახის ახლო და შუაღწივლი მოქმედების სარაკეტო კომპლექსები შევიდა, რომლებიც წინამორბედთან განსხვავებით ზუსტი ცეცხლით გამოირჩეოდნენ. ახალი ლიქტრინის ფარგლებში აშშ-მა ასეთი კომპლექსების განთავსება ევროპაში დაიწყო. საბჭოთა კავშირის საპასუხო ნაბიჯს დიდხანს არ დაუგვიანია და 1977 წლიდან ქვეყნის ევროპულ ნაწილში საბჭოთა კავშირმა საშუალო მოქმედების რადიუსის მობილური სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი РСД-10 Пионер-ის განთავსება დაიწყო. 1980 წლისთვის მორთვაობაზე 300 ასეთი კომპლექსი იდგა, რაც საბჭოთა კავშირის რამდენიმე წუთში ევროპაში განლაგებული NATO-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურების საშუალებას აძლევდა.

საპასუხოდ, 1979 წლის 12 დეკემბერს აშშ-ში გადაწყდა, რომ კომპლექსი Pershing-2-ის რაკეტების რაოდენობა



ევროპაში 1983 წლამდე 572 ცალამდე გაუნარღოთ გამოსვლის საპროექტად 1981 წელს რეჟიმის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირის Пионер-ების განადგურების სანაცვლოდ ევროპიდან ახლო და შუაღწივლი მოქმედების რადიუსის რაკეტების სრულად გატანა შესთავაზა. მობილური სარაკეტო კომპლექსების განადგურება, რომლებსაც ასე უფრთხოდნენ ამერიკელები, ევროპაში განლაგებული 250-მდე რაკეტის მხოლოდ რაკეტების სანაცვლოდ სისულელე იყო. ამასთან, აშშ-ის წინადადებაში არაფერი იყო ნათქვამი ფრანგულ და ბრიტანულ რაკეტებზე.

მოლაპარაკების პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა და აშშ-მა გააგრძელა ევროპაში Pershing-2-ების განთავსება. 1983 წლისთვის რაკეტები დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ობალიისა და ნიდერლანდების ტერიტორიაზე განთავსდა. 1983 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა მხარი დაუჭირა ამ რაკეტების თავის ტერიტორიაზე განთავსებას. ამან საბჭოთა კავშირი გააღიზიანა და ანდროპოვმა 1983 წლის 24 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ოპერატიული-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი Oka-ს განთავსება ბრძანა. 400-კმ-იანი მოქმედების რადიუსის წყალობით ეს კომპლექსი, რომელიც წინამორბედებისგან გაცილებით ზუსტი ცეცხლით გამოირჩეოდა, ამერიკელებისთვის ანგარიშგასაწევი ფაქტორად იქცა.



ვითარების განმუხტვის მიზნით, 1986 წელს საბჭოთა კავშირმა აშშ-ს ვეროპიდან სახმელეთო ბაზირების ფიროსანი რაკეტებისა და Pershing-2-ების სრულად გატანის სანაცვლოდ Пионерების ქვეყნის ვეროპული ნაწილიდან გატანა და მათი ურალის ქედს გადაღმა განთავსება შესთავაზა. ამერიკამ დაუყოვნებლო თანხმობა განაცხადა, მაგრამ მოლაპარაკებაში იაპონია ჩაერია, რომელსაც 1987 წელს ჩინეთიც შეუერთდა, — ორივეს საბჭოთა ბირთვულქობინიანი მობილური სარაკეტო კომპლექსების თავის ობიექტებზე გადამონების ემსიონდა. იაპონიის ინტერესების გაზიარების გამო აშშ იძულებული შეიქნა, უარით ეპასუხა.

მოლაპარაკებაში კომპრომისი 1987 წელს იქნა მიღწეული. ვაშინგტონში გამართულ მოლაპარაკებაზე, რომელშიც სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მონაწილეობდა, საბჭოთა კავშირმა აშშ-ის Ока-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსების განადგურება შესთავაზა. არადა, ეს კომპლექსი არ ჯდებოდა საშუალო და ახლო სიშორის სარაკეტო კომპლექსების ლიკვიდაციის მოლაპარაკების ფარგლებში, რომლის კლასიფიკაციის თანახმად ახლო მოქმედების სარაკეტო კომპლექსების მოქმედების მანძილი 500-დან 1000 კმ-მდე განისაზღვრებოდა. მაშინ რიდესაც Ока-ს მოქმედების მაქსიმალური მანძილი მხოლოდ 400 კმ იყო. რა თქმა უნდა, აშშ ასეთი შანსს ხელიდან არ გაუშვებდა და 1987 წლის 7-8 დეკემბერს ვაშინგტონში რონალდ რეიგანმა და მიხაილ გორბაჩოვმა საშუალო და ახლო სიშორის სარაკეტო კომპლექსების ლიკვიდაციის შესახებ უვალუ ხელშეკრულებას РСДМ (IFN) მოაწერეს ხელი, რომელიც ძალაში 1988 წლის 1-ელ თვისს შევიდა. მის თანახმად, მხარეებს აეკრძალებათ საშუალო (1000-დან 5000 კმ-მდე) და ახლო (500-დან 1000 კმ-მდე) მოქმედების რადიუსის სარაკეტო კომპლექსებისა და სახმელეთო ბაზირების ფიროსანი რაკეტების შექმნა, წარმოება, გამოცდა და საბრძოლო მორიგეობაზე დაყენება.

სამი წლის განმავლობაში მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული შეიარაღების სახეობები სრულად უნდა განედგურებინათ. მსოფლიო იმსტორიაში ეს პირველი ხელშეკრულება იყო, რომელიც შეიარაღების რეალურ შემცირებას ითვალისწინებდა. ის მძინინაა დადგენილი შეიარაღების ტრანსპორტაზე ინსაექტრების ეტაპისა და უფალისწინებით.

სამშალო დისკონციის სარაკეტო კომპლექსებიდან საბჭოთა კავშირის სრულად უნდა განედგურებინა P-12 და P-14-ის ტიპის თხევადსწავიანი ბალისტიკური რაკეტები და ალექსანდრე ნადირაძის მობილური სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი РСД-10 Пионер-ი, რომელიც აშშ-სთვის დიდი შეშუთების საგანი იყო (დაწერილებით ნადირაძის სარაკეტო კომპლექსებზე შევიძლიათ იხილოთ „არსენალი“ №13(56) 2008წ).

სწორედ ამიტომ შეარქვეს მას დასავლეთში „ეფრობის რისხვა“. უკანასკნელი ასეთი კომპლექსი 1991 წლის 12 მაისს განადგურეს. სულ კი განადგურეს 650 საბრძოლო, 42 სასწავლო და 36 წარმოების ტყადამში მყოფი რაკეტა. თავის მხრივ, აშშ ვალდებული იყო Pershing-2-ის ტიპის მყარსწავიანი ბალისტიკური რაკეტები განედგურებინა.

ახლო დისკონციის რაკეტებიდან საბჭოთა კავშირი Темп-С-ისა და Ока-ს ტიპის, აშშ კი Pershing-1A-ის ტიპის ოპ

დაცვის პოლიცია

www.spd.ge

ბინა + აგახატი


= 135

თუ თქვანი სასოვრობალო ბინა მდებარეობს თბილისში და დაცვლინ სიგნალისაჟიით 836 მიარ, თქვანე ყოვალთქვიარ საავოწნაო ბადასახალს იხდით 80 ლარს, ხოლო თუ თქვანი აბარაი მდებარეობს გყნეთში, საბურაქოში, ზინდისში, ნავანისში, ოყროყანაში, ტაბახმლაში, ბაყარინაში, ბოროქოში, აპარინთში, გონიოში ან სარაჟიში და დაცვლინ ასავა სიგნალისაჟიით - იხდით 100 ლარს, რაკ აბაში 180 ლარს უდრის.

თუ თქვანე ისარგებლავთ ჰაჟინე ახალი სარკისით "ბინა+აბარაი", თქვანე ბეძლავათ საბურაბაჟე ართფროულად დაცვავთ ბინა და აბარაი **135 ლარად**

დაგვიჩავშირდით ნომაროჟა : 025

და იგილეთ დავაბაბითი იფორგავანი 24 საათის ბანავალუაბაში.



1991 წლის ხელშეკრულების ფარგლებში დაქარაღი რუსული და ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენები

ერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსების განადგურების ვალდებულებას იღებდნენ.

რაც შეეხება სახმელეთო ბაზრების ფრთოსან რაკეტებს, საბჭოთა კავშირი ვალდებული იყო PK-55 Рельеф-ის ტიპის კომპლექსი გაენადგურებინა, რომელზეც მუშაობა 1984 წელს დაიწყო. კომპლექსი მაღალი გამავლობის მანქანაზე დამონტაჟებულ ექვსგამშვებთან პაკეტს წარმოადგენდა. რაკეტა PK-55-ის ფრენის მანძილი 2900 კმ-ს შეადგენდა. მისი საფრთხილი ანალოგი კი ნიშნულ X-55-ითაა ცნობილი. 1989 წელს საბჭოთა კავშირმა ექვსგამშვებიანი დანადგარი და 80 რაკეტა გაანადგურა, ამერიკამ კი კომპლექსი BGM-109G. საერთო სქემის მიხედვით ის საბჭოურის ანალოგი იყო, თუმცა პაკეტი მხოლოდ ოთხგამშვებიანი იყო და ის მოდიფიცირებულ Tomahawk-ის ტიპის ფრთოსან რაკეტებს ისრودა. ბოლო რაკეტა 1991 წლის 31 მაისს გაანადგურეს.

სულ საბჭოთა კავშირს 826 საშუალო და 926 ახლო მოქმედების რადიუსის სარაკეტო კომპლექსი უნდა გაენადგურებინა, აშშ-ს — 689 საშუალო და 170 ახლო მოქმედების. ამგვარად, ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა კავშირმა ხუთი ტიპის 1752 ერთეული რაკეტა, აშშ-მა კი სამი ტიპის 859 ერთეული გაანადგურა.

პარალელურად აშშ და საბჭოთა კავშირი აგრძელებდნენ თანამშრომლობას ბირთვული პოტენციალის შესანიშნავად. 1991 წლის 30-31 ივლისს მოსკოვში აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის სტრატეგიული შეძრვები შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება CHB-1 (START-1)-ს მოწვევა ხელს,

რომლის ვადაც 2009 წლის 5 დეკემბერს იწურება. 19 პუნქტისგან შემდგარი ხელშეკრულება შემდეგ პირობებს ითვალისწინებდა.

ხელშეკრულების გაფორმებიდან მეშვიდე წლისთაზე ორივე ქვეყნის შეიარაღებაში არსებული სახმელეთო და საზღვაო ბაზრების საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების რაოდენობა 1600 ერთეულზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ბირთვული ქიბინების საერთო რაოდენობა კი — 6000-ზე მეტი. ამასთან, ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, რომ არ გაზრდიდა მძიმე კლასის ახალ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების რაოდენობას და უკვე არსებული რაკეტების სასტრატო მასას. განცალკევადი საბრძოლო ქიბინების შემთხვევაში კი მათ რაოდენობას 10-ზე მეტად არ გაზრდიდა.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით კომპლექს OKA-ს განადგურება, რომელიც არ უდგებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იარაღის კლასიფიკაციაში, ხელშეკრავი კავშირის პოზიციების იშკარა დომინანტის მიუთითებდა. მოგვიანებით განადგურებული OKA-ს ნაცვლიად მოსკოვმა Искандер-ი შექმნა

ვით, აშშ იღებდა ვალდებულებას, რომ სტრატეგიულ ბომბდამშენებზე შორი მოქმედების 20 ფრთოსან რაკეტაზე მეტს არ განათავსებდა, საბჭოთა კავშირისთვის კი ანალოგიური კვრტა 16 რაკეტით განისაზღვრა.

თუმცა აშშ ჯერ კიდევ მოლაპარაკების დროს მთავარ პრიორიტეტად საბჭოთა კავშირისთვის მობილურ სახმელეთო და სარკინიგზო სტრატეგიულ სარაკეტო კომპლექსებში არსებული უპირატესობის ჩამორთმევას მიიჩნევდა, რადგან თავად ასეთი კომპლექსები არ გააჩნდა. საბოლოოდ აშშ-მა მთავარი იმას, რომ ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პუნქტად შეიტანეს მობილური სარაკეტო კომპლექსების მოქმედების რაიონის შეზღუდვა და ამ რაიონების გეოგრაფიული კოორდინატების მითითება. დღეს ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის თანხმობა ბევრ კითხვას ბადებს, რადგან მაშინ საბჭოთა კავშირის ხელი



ეროვნული
ბიზნესკლუბი



არსებული ისეთი იარაღი, როგორცაა „ატომური მატარებელი“, ანუ მობილური საბრძოლო სარკინიგზო-სარაკეტო კომპლექსი БХРК, აშშ-სთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. მის სამ ვაგონში, რომლებიც ჩვეულებრივ საარაგზო რეფორიერატორებს ჰგავდა, 10 განცალკევადი ქიბინით აღჭურვილი სამი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ინახებოდა. მათ სტრატის აუღბა პირდაპირ ვაგონიდან შექმლით (დაწვრილებით იხ. „არსენალი“ №14(43) 2008წ.) ამ კომპლექსების გარეგე, რომლებიც საბჭოთა კავშირს 12 ერთეული ჰქონდა, ჩვეულებრივი სარკინიგზო შემადგენლობისგან ძალიან ძნელი იყო და მაშინ საბჭოთა კავშირი სხვანაირად რომ მოქცეულიყო, პენტაგონს რუსეთის ვებერული ტერიტორიაზე მოძრავი ათასობით შემადგენლობის შირის თუნდაც ერთი რაკეტული მატარებლის აღმოჩენა, რომელსაც 24თო-ში 1000კმ-ის გავლა შეეძლო, ათობით უნდა გაეზარდა გავაში თანამზავრების დაჯგუფება, რაც აშშ-ის ბიუჯეტს არაერთი ასეული მილიონი დოლარი დაუჯდებოდა.

ამასთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებისას, ამერიკელებმა რაკეტების განადგურების ნაცვლად, მათი

მეორე საფეხურები და საბრძოლო ქიბინები დააკონსერვეს.

1993 წლის 3 იანვარს ბირის ელცინმა და ჯორჯ ბუში-უფროსმა სტრატეგიული შემტკვი შეიარაღების შექცირების ხელშეკრულება CHB-2 (START-II)-ს მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვით აკრძალული იყო განცალკეადი ბირთვული ქიბინების გამოყენება და

ორივე მხარის შეიარაღებაში არსებულ სტრატეგიულ რაკეტებზე ამგვარი ქიბინების შეცვლას მონობლოკურით ითვალისწინებდა. ბირთვული ქიბინების საერთო რაოდენობა 3800-4250 ცალზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მართალია, ხელშეკრულების რატოიციტრება ორივე მხარის პარლამენტებმა მოახდინეს, მაგრამ ძალაში არ შესუ-

რუსული ბირთვული ბრიადის კონკრეტული და მათი უაზირაფის ოლიაიკა 1990-დან 2009 წლამდე ბირთვული მოიონების რაოდენობა წლავის მიხედვით

მობარევაზი	1990	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
სახეობითი ბაზირების														
PC-10	326	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
PC-12	40	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
PC-16	189	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
PC-20	3080	1860	1800	1800	1800	1660	1480	1160	1080	850	800	760	750	680
PC-18	1800	1020	1008	960	900	900	900	780	780	774	756	738	660	432
PC-22M	560	100	100	100	100	60	0	0	0	0	0	0	0	0
PC-22K	330	360	360	360	360	360	360	150	150	0	0	0	0	0
PC-12M	288	360	360	360	360	360	345	333	315	291	254	243	213	180
PC-12M2	0	0	0	10	20	24	30	36	36	40	42	44	48	50
PC-12M2 მობირთვული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	6	15
სულ	6612	3700	3630	3590	3540	3364	3115	2429	2331	1955	1852	1788	1677	1357
სახეობითი ბაზირების														
PCM-25	192	16	16	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
PCM-40	280	192	192	128	48	36	24	0	0	0	0	0	0	0
PCM-45	12	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
PCM-50	672	624	624	624	576	384	336	288	288	288	288	288	246	228
PCM-52	1200	1200	1200	1200	1200	1000	1000	200	0	0	0	0	0	0
PCM-54	448	448	448	448	448	448	384	384	384	384	384	384	360	384
სულ	2804	2480	2480	2400	2272	1868	1744	872	672	672	672	672	606	612
სახეობითი ბაზირების														
Ty-95MC	924	704	704	693	726	693	693	704	704	704	704	704	704	688
Ty-95	63	10	4	4	4	2	0	0	0	0	0	0	0	0
Ty-160	180	72	72	72	180	180	180	168	168	168	168	168	168	168
სულ	1167	786	780	769	910	875	873	872	872	872	872	872	872	856
მობირთვული საბრძოლო რაოდენობა	10583	6966	6890	6729	6722	6107	5732	4173	3875	3499	3396	3332	3155	2825

საბჭოთა PK-55-ის ტიპის ფრონსანი რაკეტების გამშვები კომპლექსები 1987 წლის ხელშეკრულებით განადგურდა



ლა, 2002 წლის 14 თინის აშშ ცალმხრივად გამოვიდა 1972-74 წლებში რაკეტ-საწინააღმდეგო სისტემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებიდან. საპასუხოდ რუსეთმა უარი განაცხადა CHB-2 (START-II)-ის პირობების შესრულებაზე.

სანაცვლოდ, 2002 წლის 24 მაისს, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მოსკოვში ვიზიტისას, ვლადიმერ პუტინთან ერთად ხელი მოეწერა სტრატეგიული შეშტევი პოტენციალის შემცირებას, რომლის მოქმედების ვადა 2012 წლის 31 დეკემბერს იწურება. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ნებისმიერ მხარეს შეუძლია გამოვიდეს ხელშეკრულების ფორმატიდან, რისთვისაც მთავრე მხარე სამი თვით ადრე უნდა გააფრთხილოს. პირობების თანახმად, ორივე ქვეყნის შეიარაღლებაში არსებული ბირთვული ქობინების საერთო რაოდენობა 1700-2200 ცალს არ უნდა აღემატებოდეს.

აშშ-სა და რუსეთს შორის უკანასკნელი ხელშეკრულება ბირთვული შეიარაღების შემცირების თაობაზე 2009 წლის 6 მაისს მოსკოვში პრეზიდენტ ბარაკ ობამას ვიზიტის დროს გაფორმდა. ეჭვობდნენ, რომ ევროპაში აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის კომპონენტების განთავსების გამო რუსეთი უარს იტვიოდა ბირთვული შეიარაღების შემცირების ნებისმიერ წინადადებაზე, მაგრამ ამერიკამ შეძლო რუსეთთან საერთო ენის გამონახვა.

10-პუნქტიანი ხელშეკრულება, რომელიც 10 წელზეა გათვლილი, სტრატეგიული შეშტევი შეიარაღების შემცირებას ითვალისწინებს, მაგრამ ხელშეკრულებაში ზოგიერთი ციფრის მნიშვნელობა ჯერ კიდევ გასარკვევია. პირველი პუნქტის თანახმად, მხარეებს უფლება

რულებაში ზოგიერთი ციფრის მნიშვნელობა ჯერ კიდევ გასარკვევია. პირველი პუნქტის თანახმად, მხარეებს უფლება

აქვთ, ჰქონდით 500-1100 ცალს სტრატეგიული დანიშნულების ბალისტიკური რაკეტა. თუმცა ციფრების ზღვრად დაგანსკეუება კითხვასწამებს საბრუნული უმცირეს ციფრს მხარე რუქეთისა დეკლარადაღან ქვეყნის სახით. ეს კლასიკური ძალუქს დიდი რაოდენობით სტრატეგიული რაკეტების შენახვა.

2009 წლის მონაცემებით, რუსეთის სტრატეგიული ვარების განკარგულებაში 856 სტრატეგიული მატარებელი ირიცხებოდა, აშშ-ს კი დაახლოებით 1200 რაკეტა ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ რუსეთის რაკეტების ასაკს დამის, რომ მათი ახლებით ჩანაცვლების პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, რამდენიმე წელიწადში მათი რაოდენობა თავისთავად შემცირდება.

რაც შეეხება ბირთვულ ქობინებს, მათი რაოდენობა 1500-1675 ცალით განისახზვრდა. თმცა ეს წინასწარი ხელშეკრულება და შესაძლოა, მომავალში ციფრები შეუცვალოს.

თეიმურ პულუხაშვილი



ჯორჯ ბუში-უფროსი და ვლადიმერ პუტინი ხელშეკრულება CHB-2-ის ხელმოწერისას

აშშ-ის თავდაცვითი — სარკინგზო-სარაკეტო კომპლექსი БЖРК



არსებულვოვრდი

თარგუმალ: 5. XIV-XV სს. შუა-ზელი მუდართმთავარი; 6. სრბეთის წარმოების პისტოლეტი; 7. აშშ-ის თვდაცვის უსუება; 8. საფოსტო გზუნილი; 9. რეპუტაცია; 10. იტალიური საზნებთი-სარაკეტო კომპლექსი; 11. ქვეყანა, რომელიც აწარმოებს „პენელის“ მარკის პისტოლეტებს; 12. ლევენ გითუას რომანი „კმირთა ...“; 13. ერთგვარი სამხედრო ფორმის მარეალი; 14. ქართველი ჩოგბურთელი; 15. ბოვიკი არნილდ შვარცენგერის მონაწილეობით 27. გერმანული პისტოლეტი; 16. ტრეზი; 17. ავანი; 18. კალაქი

საქართველოში; 19. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 20. ინდიელი ტომი.
შვებულად: 1. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმოების ავტომობილი; 2. მსკლიმი ჭურვი; 3. ქართველი პოეტი, რომელიც დაიღუპა II მსოფლიო ომში; 4. ქალაქი ერავში; 5. ამერიკელი ფილოსოფი რაკეტა; 6. დაქირავებული პროფესიონალი მხვერაუი აიპონიში; 7. რჩეული ვერასკეცი მუდ ვრობაში, რომელიც გაწერინილი იყო ზელის გრანატის ტვიტრნაში; 8. იტალიელი პოლიტიკური მონაწილე, შუ-

ერალი და სამხედრო თეორეტიკოსი; 9. საქართველოს პარლამენტის თვდაცვისა და უმწროების კომიტეტის თვდაცვისმარე; 10. ფიცის დასაკცი საფარი ფრეგატზე; 11. ფრანგ მუფუთა სახელი; 12. ფრანგი ავტომობილედი, ზუთვზის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ რალიში; 13. ფეიდალი მოაერების სახელწოდება მუდ საქართველოში; 14. ჩრდილოატლანტიკური აღინისი; 15. განსაკუთრებული ნიჭი; 16. ესპანელი დიქტატორი; 17. ბასკური ტერიტორიული დაჯგუფება.

ფურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსებულვორდის“ პასუხები: **თარგუმალ:** 5. ბერნარდელი; 6. კონგსბერგი; 7. ბლოკპაზი; 8. პაქერი; 9. ტოუ; 10. ნოხალი; 11. მესტია; 12. ჭაკანი; 13. ბურეტი; 14. გმირი; 15. ნახიძე; 16. მიკა; 17. ვოლონტიორი; 18. ბარაკი; 19. ამბო. **შვებულად:** 1. ევლროდი; 2. ბალისტა; 3. უდინეზე; 4. სოინი; 5. გრიფინი; 6. ბმინდაუ; 7. უკრაინა; 8. ირეიუნი; 9. მერტრეული; 10. ტრეზი; 11. ავანი; 12. კამუელეტი; 13. ნორმანები; 14. ნამბია; 15. მაიორი; 16. ავზა.


დასაკეხი პისტოლები-გზვიაეზიკვევები

ეროვნული

ARES FMG, M21 და ПП-90

ათიოდე წლის წინ, ჩეჩნეთის ომის დროს, ამ სტატიის ავტორი ერთ-ერთ რუსულ სამხედრო ნაწილში მოხვდა. უფრო სწორად, ეს ნაწილი ყოფილი მე-8 პოლკი იყო, რომელიც 1992 წელს თბილისიდან სტავროპოლის მხარეში გადავიდა. ეს პოლკი აქტიურად მონაწილეობდა ჩეჩნეთის ომში და შესაბამისად, საუკეთესო და თანამედროვე შეიარაღება ჰქონდა.

ჩემი ვურადლება ერთმა, მართლაც რომ უცნაური ფორმის იარაღმა მიამბორო. პიჯაკის გულის ზეობაში თავისუფლად ჩაეჭობა და სიმართლე გითხრაო, უკან დაბრუნების არავითარი სურვილი არ მქონდა, მაგრამ პატრონისთვის გადაცემა მშინიდა.



ლეგენდარული M16-ის ავტორმა იუჯინ სტონერმა ეს ორიგინალური იარაღიც შექმნა

ARES FMG

ჩვენი დონია:
ამერიკული **ARES FMG**-ი ვაშლი მდგომარეობაში 490 მმ სიგრძისაა, დაკეცილში კი 270 მმ; სროლის ტემპი 500-600 გასროლა წუთში. მჭიდში „პარაბელუმის“ 30 ვაზნა ეტევა. უმჭიდოდ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი 2,09 კგ-ს იწონის.

ეს დასაკეცი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ПП-90 იყო, რომელიც იმ დროისთვის ახალ ნიმუშს წარმოადგენდა და თავად რუსეთის არმიაშიც ნაკლებად იცნობდნენ.

ПП-90-ის შექმნა ტულის საკონსტრუქტორო ბიუროში გახული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. კონსტრუქტორების მიზანი იყო, შეექმნათ ავტომატურად მსროლელი იარაღი, რომლის მალულად ტარება იქნებოდა შესაძლებელი.

ტულელმა კონსტრუქტორებმა ამერიკელ კოლეგებს მიჰმაძეს და პროტოტიპად მათი უნიკალური იარაღი — ARES FMG-ი არჩიეს.



ARES FMG-ის „კამპი“ კი მსოფლიოში ცნობილი ავტომატური შაშხანა M16-ის შემქმნელი იუჯინ სტონერი იყო.

სტონერმა ჩაიფიქრა ისეთი კომპაქ-



ტულელმა კონსტრუქტორებმა სტონერის მიზაძევის ეს ПП-90 ტიპის დასაკეცი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი გააკეთეს

6109 / 26



ტური ავტომატური იარაღის შექმნა, რომლის ძალუღად, ტანსაცმლის ქვეშ ტარება შეუძლებლია სპეცსამსახურების აგენტებსა და პირდაპირულად სწონერის პირველი ქმნილება დაკვიცილ მდგომარეობაში სტატუსის მქონე ფორმასა იყო, რომელიც რამდენიმე წაში მრისხანე იარაღად გადაიქცეოდა.

1986 წელს სტონერმა დააპატენტა თავისი ორიგინალური კონსტრუქცია და მხოლოდ 8 ცალის დამზადება მოასწრო, რადგან იმავე წელს აშშ-ის კანონმდებლობით აიკრძალა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის კერძო პირებისთვის მიყიდვა, სპეცსამსახურები კი რატომღაც არ დაინტერესდნენ სტონერის ორიგინალური ქმნილებით.


სამაგიეროდ, თითქმის იმავე პერიოდში, აშშ-ში გამოჩნდა მეიარაღე დეივ ბოტმანი, რომელმაც მცირე სერიით, დაახლოებით 100 ცალი დამზადა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი M21, რომელიც თითქმის იმეორებდა იუჯინ სტონერის ARES FMG-ის, მაგრამ ბოტმანი კატეგორიულად უარყოფდა პლაგიატობას.

მიუხედავად დიდი მსგავსებისა, განსხვავებაც იგრძნობა. განსაკუთრებით გართა ფორმებში. მეიარაღე ბოტმანი M21 ისე შენიღბა, რომ იგი დაკვიცილ მდგომარეობაში პატარა რადიომიმღებს ჰგავდა (ფალშანტენის ჩათვლით), რომლის ტარება იმ დროს მოდაში იყო.

სამივე დასაკეც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს — ამერიკულ ARES FMG-ს, M21-სა და რუსულ ПП-90-ს ერთი და იგივე ნაკლი აქვს, — შენიღბული დაკვიცილი მდგომარეობიდან მათ საბრძოლო მდგომარეობაში გადაყვანას და პირველ გასროლას არანაკლებ 4-5 წამი სჭირდება, რაც არცთუ ისე მცირე დროა. მით უმეტეს, რომ პირისპირ მდგომ მოწინააღმდეგე წვეულებრივი პისტოლეტის ამოსადებად და პირველი გასროლისთვის 2-3 წამიც ყოფილა.

რუსული ПП-90-ის ავტომატიკა დაფუძნებულია თავისუფალ საკეტზე. სროლა ხდება გაღებული საკეტიდან, დამაბრუნებელი ზამპარა ლულის გარშემოა მოთავსებული (ისევე როგორც გერმანული PPK და საბჭოთა ПМ „მაკარუსის“ და АРС „სტეკინის“ პისტოლეტებში). იგივე სქემაა გამოყ-

ამერიკელი მეიარაღე დეივ ბოტმანის დასაკეცი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი M21 რადიომიმღებიადაა შენიღბული. მას ეხსენება ფალშანტენა, შუაზე იხსენება და მზადაა სასროლად



ჩვენი დონია: რუსული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი **ПП-90**-ის სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში 485 მმ-ია, დაკეცილის გაზარტები კი: სიგრძე — 270 მმ, სიგანე — 90 მმ და სისქე — 32 მმ, სროლის ტემპი წუთში 600-800 გასროლაა. მჭიდში „მკაროვის“ 30 ვაზნა ჩადის.



რუსული ПП-90-ის არასრული დაშლა

ენებელი ამერიკელი სტინერისა და ბოტმანის დასაკეცი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის კონსტრუქციებში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რუსული დასაკეცი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ამერიკულ საფუძვლებზე.

ПП-90 გათვლილია „მკაროვის“ 9X18 მმ **PM** ვაზნებზე და მას მხოლოდ ავტომატური ვერხვით სროლა შეუძლია. მოდერნიზებული **ПП-90M** ავტომატურთან ერთად სათითაოდაც ისვრის...

ამერიკულ **ARES FMG**-ისა და **M21**-ის საგზნე მჭიდებში 9X19 მმ **PARA**-ტიპის 30-30 ცალი ვაზნა ჩადის და მათი სროლის ტემპი 500-600 გასროლაა წუთში. **ARES FMG**-ი მჭიდის გარეშე 2.09 კგ-ს იწონის, მაშინ როდესაც რუსული **ПП-90**-ის მასა უმჭიდოდ 1.83 კგ-მდეა შემცირებული.

ПП-90 არ გამოირჩევა კარგი ერგონომიკით, აბასთან, მის დასაკეცი დეტალებში ადვილად გროვდება მტკერი და ჭკუჭი. ანალოგიური პრობლემა მის ამერიკულ წინამორბედებსაც აქვს.

დასაკეცმა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებმა ვერც ამერიკაში და ვერც რუსეთში პოპულარობა ვერ მოიპოვა სპეცსამსახურების თანამშრომლებში, რადგან არ გამოირჩევა სროლის დიდი ეფექტანი მანძილითა და მაღალი ხიზუხტით.

სანამ ჯიბიდან მარტოხა ფორმის პენალს ამოიღებ, გადახსნი და გადატყნი, მოწინააღმდეგე გაოცებასაც მოასწრებს, გონზე მოსვლასაც ჩვეულებრივი პისტოლეტით შენკენ ზუღტ სროლასაც...

ირაკლი ალადაშვილი



სტინერის მიზიბვით დასაკეცი Glock-იც გააკეთეს





ქართული
პოლიცია

1-30



ISSN 1986 - 5064
987717695060071

ქართული
პოლიცია

M21

